

წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ*

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა იყომერვესაწელსა[მრ...]სპარსთამეფისასაკარადსამეფოდ წარემართავარსქენპიტიახში,მწარშუშამასი,რამეთუპირველიგი-ცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთად. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპადპეტისაჲ, რომლისათჳს ესე მივწერე თქუენდა,მამისაგანსახელითვარდან,დასიყუარულითსახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმიტგან თჳსით. და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაჲსა მარადის გულს ეტყუნ და ევედრებინყოველთა-ველოცვის-ყოფადმისთჳს,რადთა-მცაცვალაიგი ღმერთმანსახისამისგანუგუნურებისადაიქმნა-მცაგონიერებასა ქრისტჳსსა.

ხოლოამისუბადრუკისადასამგზისსაწყალობელისავარსქენისი ვითარ-მე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ, ვითარ-იგი განაგდო სანატრელი სასოებადქრისტჳსი?!ანუვინარასტიროდისმას,რომელსა არცაჭირიეხილვა,არცამიში,არცამახვლი,არცაპყრობილებაჲ ქრისტჳსთჳს?!

რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათჳს,არამედღუნადთავსათჳსსაშესწირვიდამეფისა მის მიმართ უვარის-ყოფითა ჭემმარტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა,რამეთუყოვლითკერძო-ვეთავითჳსიქრისტჳსგანგანაგდო. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რადთა-მცა სათნოეყომეფესა,დაესრეთეტყოდა,ვითარმედ:"რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინი-ცა ესრე-ვე მოვაქცინე შენსა შჯულსა, ვითარცა-ესე მე". ამას უქადებდა, რომელ-იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკისგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ.

.დაიჯმნამეფისაგანსპარსთაჲსაპიტიახშიმან.დავითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რადთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რადთა მათ გამო, ვითარცა ერთ-გული, სოფლად შევიდეს. დაწარმოჰმართასადიასპანომთაცხენითამონადჳსი,ვითარ[მ]ცა მოვიდადაბასა,რომელსასახელიჰრქჳნცურტავ.

დავითარცამოიწიადაშევიდაწინაშეშუშანიკისა,დედოფლისა ჩუენისა, და კითხვაჲ ჰრქუა. ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა წინაწარმეტყუელმან ჰრქუა:"უკუეთუსულითაცხოველარსიგი,ცოცხალ-მცა ხართ იგი-ცა და შენ-ცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდა-ვე მოიქეცინ". ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა, ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმანუთხრამართალიდაჰრქუა,ვითარმედ:"ვარსქენუვარყო ჭემმარტიღმერთი".

ვითარცაესმანეტარსაშუშანიკს,დავარდაიგიქუეყანასაზედადა თავსადამართსცემდადაცრემლითამწართაიტყოდა:"საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭემმარტი ღმერთი და აღიარა ატრომანი და შეერთო იგი უღმრთოთა, Ms. page: A_r და აღდგა და დაუტევა

ტაძარი თვის და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა, და თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული და წარადგინა იგინი წინაშე საკურთხეველსა. დაესრეთილოცვიდადაიტყოდა: "უფალოღმერთო, მენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისადათა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა*, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა".

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდამუნ შინასი მწარითასავსცა მიეგრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

თავი: III

. ხოლო ეპისკოპოსი იგისა ხლისად მისპიტია ხმისად, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისა-მე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რამს-მე სიტყვსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი. თანა ვყვანდი ეპისკოპოსსამას. დამყისმი იწია ჩუენდა დიაკონი შინადთ და გვთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვად პიტია ხმისად დასაქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათვის.

ხოლო მე ვიგმენად რე დამივიწიე და ბასამას, რომელსა-ცა იყო ნეტარი შუშანიკი. და ვითარცა ვიხილე იგი გამწარებული, მეცა ვტიროდ მისთანა-ვე დავარქუნეტარსა შუშანიკს: "ღუაწლსადიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძალესარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსკლმანსად მოვარიპოოს** შენთანა. ხოლო წმიდამან შუშანიკი მრქუა მე: "ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ". და მე ვარქუ მას: "ეგრწო [!] არს: მჯნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ". ხოლო მან მრქუამე: "ჩემდამარტო მსაარიან ჭირნი ესე"! ხოლო მე ვარქუ მას: ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს, ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ".

და ვარქუმესანატრელსამას ხუაშიადად-რე: ვითარ გეგულეების, მითხარ მე, რადთა უწყოდი და აღვწერო შრომად შენი". ხოლო მან მრქუა მე: "რამსამ კითხვამას"? დამემიუგე დავარქუმას: "მტკიცედ სდგა-ა?" და მან მრქუა მე: "ნუ იყოფინ ჩემდა, თუ-მცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა". მე მიუგე და ვარქუ მას: "მწარე გონებად აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ". ხოლო მან მრქუა მე: "უმჯობეს არს ჩემდა ველთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისიშეკრებად და წარწყმედა მსულისა ჩემისა; რამეთუ მასმიესმე პავლეს მოციქულისაგან: არა დამონებულ არს ძმად გინა და, არამედ განეყენენ*", და მე ვთქუ: "ეგრეთ არს".

თავი: IV

. და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: "ესე ვითარი სახლი მშვდობისად ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა?" ხოლო ზრახვითა იყო იგისა ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებად ნეტარისად მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვად მისი და მოიზლუდა თავი მისი მტკიცედ.

და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსკენ პიტიახში. და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა: "მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან, და მე გეტყვ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვმას,რამეთუდედათაბუნებაიწროარს".

დახვალისადღწვითარადგაპიტიახში,გვწოდაჩუენხუცესთა და მივედით. და სიხარულით შეგვმთხვვნა და გურქუა ჩუენ: "აწ ნურას მერიდებითმედანუ-ცა-ლაგმაგ".დაჩუენმიუგეთდავარქუთ: "წარსწყმიდეთავიშენიდაჩუენ-ცაწარგუწყმიდენ",მაშინ-ლა იწყო სიტყუად და თქუა: "რამსა ჯელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამკუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ".

ხოლოწმიდამანშუშანიკთქუა:"არათუმეაღმემართახატიიგი და მე-მცა დავამკუ, ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტულენი და ეკლესიანი აღაშწნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ. მან ღმერთი ცათად და ქუეყანისად აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭემმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც, და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრე-ცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და თუ მრავალი ტანჯვად მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა". ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშსა. ხოლო მან განიწყო გული და იბრდლუნდა მისთვს.

თავი:V

.მერმემიავლინაჯოჯიკ,ძმადთვსი,დაცოლიჯოჯიკისი,ძმის ცოლი თვსი, და ეპისკოპოსი სახლისა თვსისად და ჰრქუა მათ: "ესრეთ არქუთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თვსსა და ნუ ეგევითარი გონებად გიპყრიეს!უკეთუ(!)არა,თრევითმოგითრიო".

დავითარმიიწინესდაშევიდესწინაშედედოფლისადამრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: "კაცნო ზრმენნო, თქუენკეთილად იტყვთ, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუ-მცამემისაცოლად-დავიყავ.მეგონამე,ვითარმედიგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭემმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიმულეგბთ ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცა-ლა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაა ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ". ჰრქუა მას ჯოჯიკ: უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ". ხოლო წმიდამანშუშანიკჰრქუა:"უკუეთუშემკრასდამითრიოს,მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებად ჩემი მისგან". და ვითარცა ესემა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი, და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: "ვითარ მეტყვ მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?" ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: "დაა ჩუენი ხარ შენ", ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა". ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: "უწყი, ვითარმედ დაა ვარ, ერთგან განზრდილნი, ხოლომაგასვერვჰყოფ,ვითარ-მცამოსისხლეობადიქმნა, დათქუენყოველნითანა-მდებიქმნენით".

დავითარცაფრიადაურვებდეს შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელწ	მას, თვსი	აღდგაწმიდადა და ტირილით ესრწთ	ნეტარი იტყოდა:
--	--------------	----------------------------------	-------------------

"უფალო, ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ".
ესეთქუადაწარვიდამათთანადათანაწარიტანნაევანგელს
თვსი და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა
მას, არა დაჯდა იგი თვსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა.
დაალიპყრნაკელნითვსნიზეცადწმიდამანშუშანიკდათქუა:
"უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალს, არცა ერისა
კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ
მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს".

თავი: VI

.დაშემდგომადორისადლისამოვიდამგელიიგიტაძრადდა
ჰრქუა მსახურთა თვსთა: "დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად
პური ეჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად".
და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად
პურისაჭამად,რათა-მცამოიყვანესწმიდამშუშანიკ-ცა.დავითარცა
მოიწია ჟამი პურისად, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა
შუშანიკისა, რათა-მცა მას-ცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი
უზმასა გარდაევლნეს, და ვითარცა მეტად აიძულეს, და ძლით წარიყვანეს
ტაძრად.ხოლოგემოდაარადასადიხილა.ხოლოცოლმანჯოჯიკისმან
მიართუა ღვწომ ჭიქითა და აიძულებდა მას, რათა-მცა იგი ხოლო შესუა.
ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: "ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუ-მცა
მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!" და განყარა ჯელი და ჭიქა იგი
პირსაშეაღწადაღვწომიიგიდაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჯითა თვსითა დასთრგუნვიდა
მას;დაალილოასტამი,დაუხეთქნამასთავსა,დაჩაჰვლა,
და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ
და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მჯეცი მძწწვარს ყიოდა და იზახდა ვითარცა
ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმად მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის
გუემიიგი-ცა,დაკუბასტი-ცათავსამისსამოხეთქადაჭირით,
ვითარცა კრავი მგელსა, გამოულო ჯელთა მისთა, და ვითარცა მკუდარი
იდვა წმიდამ შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა
მისსა და სახლისა მაოჯრებულად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვად
მისიდაბორკილთაშესხმადფერჯთამისთა.

დავითარცამცირედდა-რე-სცხრაგულის-წყრომისაგან,მოვიდა
სპარსი იგი და მჭურვალედ ევედრებოდა მას, რათა-მცა საკრველთა მათგან
განეტევა წმიდამ შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებად
მისიდასენაკსაერთსაშეყვანებადაკრძალულადდაცვამისი
ერთითა მსახურითა, და რათა სხუად არავინ შევიდეს ხილვად მისა, --
არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

თავი:VII

.დავითარცაცისკაროდენიყო,იკითხადათქუამსახურისა
მიმართმისისა,ვითარმედ"წყლულეებისამისგანვითარარს?"
ხოლომანჰრქუამას:"ვერგანსარინებელარსიგი",მაშინთვთ
შევიდა და იხილა იგი და დაუკვრდა დიდძალი იგი სიმსივნს მისი. და ამცნო
მსახურსა მას და ჰრქუა: "ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა". და თვთ
ნადირობად წარვიდა.

ხოლომეაღვდეგადმივედდავარქუმცველსამას"მეხოლო მართოდ შემიტვე და ვიხილო წყლულებად იგი მისი". ხოლო მან მრქუა მე: "ნუუკუე ცნას და მომკლას მე". და მე ვარქუ მას: უბადრუკო, არამისიგანზრდილიხარ-ა?დათუ-ცამოგკლასშენმისთვის,რაა არს?!. მაშინ შემიტვე მე ფარულად. და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული და აღუტევე ჳმად და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: "ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა ქმნაჩემდალამწესე". დამეგვარქუწმიდასაშუშანიკს:"მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთაშთაცუეულარს,დასალბუნიდაწამალიდაგდვა,რაათა, ჳე, ლამე თუ განიკურნო!" ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: "ხუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთად". ხოლომემცირედვაიძულემიღებადჳამადი,რომელიმოეძლუნა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგემინის-სცემდეს, მაშინმრქუამეწმიდამანშუშანიკს:"ხუცეს,ვერძალ-მიც გემოდსხილვად,რამეთუყბანიდაზოგნიკბილნიშთამუსრვილ არიან". მაშინ მივიღე მცირედ ღვნოდ და პური, დავალბე და მცირედ გემოდიხილა.

დამევისწრაფდიგამოსლვად.მაშინმრქუამეწმიდამანშუშანიკს: "ხუცეს, მიუძლუნაო სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეწმარების". ხოლო მე ვარქუ: "ნუ რას ისწრაფი, იყოსშენთანა".

დაჩუენ-ლაამასგანვიზრახევდით,მოვიდაყრმაფერთიდათქუა: "იაკობ მანდა არს-ა?!". და მე ვარქუ, ვითარმედ: "რაა გინებს?" და მან მრქუა: "უწესს პიტიახში". და მე დამიკვრდა, თუ რადა-მე მიწესს ამას ჟამსა? და მივისწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: "უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჳონთა ზედა. და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, -- იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველი-ვე, რაა-ცა რაა არს". ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველი-ვე მომიძლუნა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: "მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს".

თავი:VIII

.დავითარცამოიწინესდიდნიიგიმარხვანი,მივიდანეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირე სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირე სარკუმელი და დაყო იგი.დაიყოიგიზნელსამასშინამარხვითდალოცვითდა ტირილით.

დაჳრქუა წმიდათა	ვინმეპიტიახშსა მარხვათა	საკუთარმან ნურას	მისმან, ვითარმედ: ეტყვ	"ამათ მას".
--------------------	----------------------------	---------------------	------------------------------	----------------

დავითარმოიწიააღვსებისაორშაბათიდამოვიდაპიტიახში ბრძოლისა მისგან ჳონთადა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდაეკლესიადდაეტყოდაეპისკოპოსსამასაფუცას:"გამომეც ცოლი ჩემი, რად განმამორებ ჩემგან?" და იწყო გინებად და გმოზად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჳრქუა მას: "უფალო, რადა ეგრე იქმ

და იტყვ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვ? ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა, და მან ვერღარა იკადრასიტყუად.

დაეგრეთწმიდააშუშანიკთრევითმოითრიათიჯათაშიგანდა ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქუე ძემძ დაეფინა. და თვთ ფერწნი დაიდგნის ძემძუსა მასზედა,დაკუბასტნიშუშანიკისნიდაჯორცნიწულილ-წულილად დაებძარნეს ძემძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად, და უბრძანა შეკრვად მისიდაცემაა;ბოროტებდადაიტყოდა:"აჰაეგრეარაგერგო შენეკლესიააშენიდაარცაზურგნიეგეშენიქრისტიანენიდა უფალი იგი მათი. და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ, არარაა აღმოცდა პირსა მისსა ვადებად, არცა კუნესა. მაშინ-ლა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსავარსქენს:"უბადლო,შენ-დათავითუსიარაშიეწყალედა განსდეგლმრთისაგან,შენმე-მცაშემიწყალე-ა?"

დავითარცაიხილადიდძალიიგისისხლი,რომელდამოსდიოდა ჩჩვლთა მათ ჯორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვ ქედსა მისსა. დაუბრძანასენაკაპანსაერთსა,რადთაწარიყვანონწმიდააშუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს.
თავი:IX

.დიაკონივინმეერთიმისეპისკოპოსისაიდგაწმიდისაშუშანიკის თანამსჯამსა,რომელსაგამოჰყვანდაიგიტაძრით,დაუნდა, რადთა-მცა ჰრქუა, თუ "მტკიცედ დეგ!" და თუალი ჰვიდა პიტიახშმან, სხუადვერღარადასცალდასიტყუად,ესთენოდენჰრქუა:"მტკი"...და დადუმნახოლოდასივლტოლადიწყოსწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს, და მიჰყვანდა წმიდაა შუშანიკ უკამური და თმა-გარდატევებული, ვითარცაერთივინმეშეურაცხთაგანი,დავერვინიკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მკედრ შეუდგა უკუანა კუალსამისსადააგინებდამასმრავლითაგინებითა.

და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლწ ურიცხვ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჳმაა აღემაღლა და ტიროდეს დაიჯადესდაწუთამათთადასაწყალობელადდასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკ-მოჰხედნა ერსამასდაჰრქუამათ:"ნუსტირთ,ძმანოჩემნოდადანო ჩემნოდაშვილნოჩემნო,არამედლოცვასამომივსენეთ.დაჯმუნულ-მცა ვარ მე თქუენგან ამიერთგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით".დავითარცაიხილაპიტიახშმანამბოხიიგიდატირილი მამათა და დედათა, მოხუცებულთა და ყრმათა, მკედრ მიმოდასდევნის და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ჳიდსა მას ციხისასა, ჰრქუაპიტიახშმანწმიდასაშუშანიკს:"შენდაეგდენყოფადარს ფერწითაშენითასლვად,რამეთუცოცხალიარღარაგამოსლვადხარ, გარნათუოთხთაგამოგიღონ".

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოთ კერძო, მცირწ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაა იგი. და ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთ-ვე ედვა, და დაჰბეჭდა ურჩულ[ო]მან ვარსქენ ბეჭდითა თვსითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: "მე ამას მხიარულ ვარ, რადთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო". ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას:

"ჰე, ჰე, განისუენე!"

მაშინ დაადგინა მცველნი მას ზედა და ამცნო მათ, რადთა სიყმილითა მოკლანიგი. და ესრეთ ეტყოდამათ: "გეტყვთქუენ, უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა, მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქუენნი, და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი, უბრალო-მცა ვარ, რად გიყო თქუენ".

თავი: X

ციხით. დამესამესაკურიაკესამოუწოდამცველსა. მაშინ გამოვიდა ერთსა, ჰკითხა მას და ჰრქუა: "აქამომდე ცოცხალ-და არს-ა საწყალობელი იგი?" ხოლო მან ჰრქუა: "უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არასმიილებსა ზრდელსა". ხოლო მან ჰრქუა: "ნურარად გგლიან, უტე, -- მოკუდეს".

ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთისამისოდ. და ძნად თავს-იდვა შეტევებაჲ ჩემი დამრქუამე: "რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ". დავითარმემიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან*, და მე, ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდებოდა. ხოლო წმიდამან შუშანიკმრქუამე: "კეთილისა ამისთვის სტირ-ა, ხუცეს?" ხოლო მცველმან მან მრქუა მე: "ესე-და თუ-მცა მეცნა, არა-მცა შემოგიტევე შენ". ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, რავდენიღმერთმან მო-მცამესიტყუად. დავიჯემნისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა.

ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა და ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, არა დახუდა, ოდესსა ქმწესეიქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა. დავითარმოიწია ჯოჯიკ, უკუნა სდევდა პიტიახშსა. და მიეწია მას საზღვართა ჰერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიად, რადთა-მცა ბრძანასაკრველთა მათგან განტევებაჲ მისი. და ვითარ ფრიად აწყინა, ბრძანა განტევებაჲ საკრველთაგან ოდენ. დავითარმოვიდა ჯოჯიკ, აღჰკადაჯა ჰჭიგიქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულამდე მითურთ. რამეთუ ექუსიწელი ციხესამას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღვძარებითა, ზე-დგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებელად. განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხესული ერთითა მით ქნართა.

თავი: XI

. და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმწ მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რად ვის უკმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მასკაცთ-მოყუარებერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა ხილვაჲ.

იყო ვინმე დედაკაცი ერთისპარსი მოგვ, რომელსა განბორებისა საღმრთობაჲ აქუნდა, და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა. ხოლო იგი ასწავებდა მას, რადთა-მცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა იგი ქრისტიანე. ხოლო დედაკაცი მან თავს-იდვა ადრე-ადრე. და იგია სწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა, ვითარმედ: "მივედ იერუსალმდ და განსწმიდნე განბორებისა მაგისგან შენისა". დამანგულს-მოდგინედ შეიწყნარა და წარემართა

გზასა მას სახელითა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, და განიკურნა იგი საღმობისა მისგან, და ვითარ გარე მოიქცა იგი სიხარულითა დიდითა და მოიწია მუნ-ვე, მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაცდად და წარვიდა სახიდ თვსა სიხარულით განმრთელებული.

თავი: XII

.ხოლოწმიდამანშუშანიკნაცვალადჭიჭნაუხტისასაქმისადიდითა გულსმოდგინებთაჯელთაღიხუნადავითნიდამცირედთადღეთა შემდგომადასერგასისნიიგიფსალმუნნიდაისწავლნა,რომლითა-იგი დღწ და ღამწ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ: "შვილნი იგი შენნი მიაქცინა მოგობასა".მაშინიწყოთაყუანის-ცემადღმრთისამიმართტირილითა დიდითა და თავსა თვსა ქუე დამართ სცემდა, სულთ-ითქუნა და თქუა: "გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვენეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვენეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა".

და მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ დამშრშალი და დაბუშებული ტირილითა. და რამეთუ მოედლუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი, დავითარფრიადვაიმულე,მცირედოდენგემოიხილადა ვჰმადლობდით ღმერთსა. და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თვსისა, ხოლო რაჟამს მიაქცინეს და უვარ-ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისა, არამედ სახელი-ცა მათი სძაგდა სმენად.

თავი: XIII

.დამერმემოციქულნიმოავლინნაპიტიახშმანდაჰრქუა:"ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად. უკუეთუ არა მოხვდე შინა, ჩორდ წარგვე შენ ანუ კარად კარაულითა". ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა ესრეთ: "უბადლო და უგულისწმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რას-მე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე". და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთვს (ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვინ უწყის, თუ კეთილსა რას-მე მივემთხვო"), ვითარმედ: "ნუუკუე მთავართაგანსა ვის-მევეცოლოს".დამიერთგანარღარავინმიავლინამისა.ხოლო წმიდაჲ შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათვს იტყოდა, რადთა-მცა სათნო ეყო ღმერთსა.

ხოლოპიტიახშმანგამოარჩიადუმუღს-მტწმისისაკუთარი,რადთა მოიყვანოს იგი ტაძრად. და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: "ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოჯრებ სახლსა მას თქუენსა", ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: "არქუ მას უღმრთოსა, ვითარმედ შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერვითა არა გამოხვდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ, უკუეთუ შემძლებელხარმკუდარსაადღგინებად,პირველადდედადშენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო". და ვითარცა მიუთხრეს პიტიახშსა სიტყუად იგი, და მან თქუა: "ნანდვლვე ვთქუ ეგე!"

დამეორესადღესაშემო-ვინმე-ვიდადაჰრქუაწმიდასაშუშანიკს:

"კეთილად მიუგე მას სიტყუად იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუვილი შენიდამასსხუადზრახვადგულსამოეჯადასიბოროტისად

შენთვის", წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: "და შენ ღმერთი ძილსა გგონიეს*, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსაკაცისასა, იტყვს თვთ უფალი: მე მიუგო სიტყუად თქუენ წილ"***.

თავი: XIV

.და ვითარცა აღივსებო დამეექუს წიგნი წელისა პერობილესამას შინა, ჯეკმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა სიმწნისა მისისა მათა სენი სნეულეობისა და მოიწია მის ზედა, რომელსა-იგი წინადაწარ უღალადებდი და ვეტყოდე, ვითარმედ: "ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუმძიმებ ჯორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგიტომონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რამს-მე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა დამარადის ზე-დგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა". და არცა-ღა მცირედ სადა სცა ჯორცთა მისთა განსუენებად, და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მარხვათა აღვსებისათა ერგასისთა მათდღეთა, ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რამი იდის, გარნადღესა ხოლო ჯორცთა კესაეზიარის ჯორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, და მცირედ ოდენ წუენი მხლისა შექმნული -- იგი-ცა მცირედ -- მიიღის, ხოლო პურისა გემოდ არა იხილის ვიდრე აღვსებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინა მთგან პერობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუე-საგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი და კაცთათუალსა სასთაული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებოდა, და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსამას დასხმულიყო. ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწული იგი მკურვალე ბამზისა და ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნი-ცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვთლებულნი, და წერტილნი და დამწნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პერობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა.

თავი: XV

. და ვითარცა მეშუდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებად-ცა ჯორცთა მისთა და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჯნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილ-ადგილდ. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს დამატლი-ცა დასხმულიყო წყლულთა მათ, რომელ-იგია დიდოკელითა თვისითა და მიჩუენებდა მე და ჰმადლობდა ღმერთსა. და თქუა: "ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების"*. და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად. კულად მრქუა მე რისხვით: "ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შექმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შექმად აქა-ვე ამას ცხორებასა". და მე მიუგე და ვარქუე: "მამისასამოსელი მცირედ-ღამე გერაცხასა აგუემელად, და წმატლთა მაგათთვს მხიარულ ხარ?. და მან მრქუა მე ქენებით: "ნუ ვის თანა იტყვ მამისა სამოსლისათვს ცხორებასა ჩემსა, რამეთუ ადრე ყოფად არს და ტევებად უბადრუკთა ამათ ჯორცთა ჩემთა". რამეთუ შინაგან ძამად ემოსა და არავინ

თავი: XVI

.დავითარცაესმაჯოჯიკს,ვითარმედმიახლებულარსნეტარი
 დედოფალიწმიდამშუშანიკსიკუდილდ,წარვიდადათანაწარიყვანნა
 ცოლი და შვილნი და მონა-მკვევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა
 შუშანიკმარტვისა.დავითარცამიიწია,მძლავრშე-ხოლო-ვიდა
 დათაყუანის-სცაპატოსანსაჯუარსადამოიკითხაწმიდამშუშანიკ.
 თანა დაუჯდა და ჰკითხვიდა სალმოზათა მათთვის. ხოლო წმიდამან მან
 ჰრქუა: "კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავალსა
 მასგზასამეცაწარვალ*".ხოლოჯოჯიკმწრაფლადღგაზე,
 პირველთამათუწესოთასაქმეთააღუარებდადაევედრებოდაწმიდასა
 შუშანიკს და ეტყოდა: "სძალო და მკვევალო ქრისტწსო, ითხოვე ღმრთისაგან,
 რადთა მომიტევენეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი". ხოლო წმიდამან შუშანიკ
 ჰრქუამას:"თუშენსხუადსახედყრმებრარარადჰქმენ,ღმერთმან
 მოგიტევენეს შენ", და ჯოჯიკ ჰრქუა: "მაგის სახისათვის მოვედ მე შენდა, რადთა,
 რომელი-იგი არა რადმე სათნო იყოს ღმრთისა, არა ვქმნე". წმიდამან შუშანიკ
 ჰრქუა: "უკუეთუ ეგე ეგრეთ ჰყო შენ, უკუდავ მექმნე მე მაგით სიტყვთა
 და ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხორებისა შენისათა".

დამერმე,ვითარშეატყუაჯოჯიკ,ვითარმედმასდღესაგანვალს
 წმიდად იგი ჯორცთა ამათგან, ჰრქუა: "მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მკვევალი
 შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მკვევალნი ჩემნი, და თუ რადმე შეგცოდეთ,
 ვითარცაკაცთასაწუთრომსათადასოფლისმოყუარეთა,მოგვტევენ
 დანუშოივსენებმედგროზათაჩემთა".ხოლოწმიდამანშუშანიკ
 ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა: "ჰყავთ წარმდებად საქმწ ესე ჩემი, რამეთუ
 არავინიპოვაკაცთაგანი,რომელსა-მცააქუნდაწყალობადატკივილი
 ჩემთვის, რომელმან-მცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა". ხოლო
 მათ ჰრქუეს: "ჩუენ თვნიერ შენსა ფრიად დავშუერთით, გარნა არა იყო სმენად,
 არცასიტყუად".მაშინჰრქუაწმიდამანშუშანიკ:"განვისაჯნეთმედა
 ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალ-ღებად წინაშე მსაჯულისა
 მის მსაჯულთამსა და მეუფისა მის მეუფეთამსა, სადა არა არს რჩევად მამაკაცისა
 და დედაკაცისადა**, სადა მე და მან სწორი სიტყუად ვთქუათ წინაშე
 უფლისაჩუენისაიესუქრისტწსა;მიაგოსმასუფალმან***,ვითარ
 მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი
 ჩემიდააჰნო,შუენიერებასიკეთისაჩემისადააბნელადადიდებად
 ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო
 მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებად
 ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათვის მე განსუენებასა მივემთხვო, და
 უგულისწმობისა და უწყალობისა მისისათვის მე წყალობასა მოველი იესუ
 ქრისტწსმიერუფლისაჩემისა".

ხოლო იგინი ამას ყოველსა სიტყუასა მისსა ზედა ტიროდეს მწარედ
 და ჰრქუეს: "მოგვტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაკურთხენ, წმიდაო მოწამეო და
 მარტვლოსანატრელოქრისტწსღმრთისაო",ხოლოწმიდამანშუშანიკ
 ჰრქუა:"ღმერთმანმიგიტევენინ,რომელ-რად-იგიჰყავთ".მაშინ-და
 აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და მონა-მკვევალნი მისნი
 და ყოველი ეზოდ და პალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა
 და ეტყოდა, ვითარმედ: ესე ყოველი ცხორებად, ვითარცა ყუავილი ველთად,
 წარმავალ არს* და დაუდგრომელ, და ვინ სთესა -- მოიმკო** და ვინ განაბნია

გლახაკათაჲს--შეიკრიბა,დარომელმანწარიწყმიდოსთავითჲსი,
მან პოოს იგი***, რომელმან ადიდა იგი". და უჯმნა და გამოგზავნა
იგინი მშვდობით.

თავი: XVII

.მერმე,შემდგომადჯოჯიკისა,მოიწიათავიიგიეპისკოპოსთაჲ
სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი, მისი-ვე მოყუასი, რომელ-იგი იყვნეს განმამტკიცებელ
დადიდადდამაშურალ,სახლეულითურთთანა--ყოფით
იყვნეს მონა, და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით
წარჰგზავნიდესნავთ-სადგურისამისმიმართქრისტესისა.მსგავსად
მის-ვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და
უაზნონისოფლისაქართლისანიმოვიდეს.ეგრეთ-ვე,რომელნი-იგი
გულს-მოდგინებით მონაწილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ მისთა სანატრელობით,
ვითარცა ახოვანსა მცნესა მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და
აზნაურნი ერთბამად, რაათა ზორკილი იგი ფერჯთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევაჲდ
ყოველთათჲს,რომლისათჲს-ცაჰრქუაწმიდამანშუმანიკ,ვითარმედ:
"მე რად ვარ, არა-ღირსი ესე? ხოლო ღმრთის-მოყუარებისა თქუენისათჲს
ხუცესმანადავსენწადილითქუენიმაგისახისათჲს.ხოლომერამე
რამემძღვებელვარ,არამედყოვლადსავსემანქრისტემანაღვასენინ
თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი-ესე ჩემთჲს მოშუერთით და ეზიარენით
ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა. ხოლო მე, საყუარელნო, აჰა
ესერა წინა-განმზადებულსა მას გზასა წარვალ საუკუნესა. ჭირისა ამის წილ
ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯველთა ამათ წილ განსუენებაჲდ,
გუემათამათჩემთადათრევათადაშეურაცხებათა--მივემთხვო
მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა". და იგინი ჯმნულნი,
ცრემლითა სავსენი, ძლევისა მისთჲს დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს,
და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს.

თავი: XVIII

. და მოიწია დღჲ იგი წოდებისა მისისაჲ. და მოუწოდა ეპისკოპოსსა
მისისასახლისასააფოცდამადლოსამისცემდამისამიმართ
მოწილობისა მისისათჲს, ვითარცა მამასა და მამა-მძუმესა შემვედრა მე, კაცი
ცოდვილი და გლახაკი ესე, და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა
და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲ-ცა-იგი პირველად გამოითრიეს,
და ეტყოდა: "უკუეთუ ღირს რამე ვარ უკუანადსკნელი ესე მეათერთმეტჲ
მოქმედივენაჯისაჲ*,იყვენითყოველნიკურთხეულუკუნისამდეჟამთა".

და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი
ჩემი, რამეთუ მშვდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე**, და შეჰვედრა
სული თჲსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა.

თავი: XIX

.დამაშინ-დამსწრაფლმოილოსანატრელმანმანეპისკოპოსმან
იოვანე შესაგრაგნელად სუდარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა
მისთაჲ, და ეგრეთ სხუათა მათ ადვილეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი
და დაჰმული მატლთა, და განვბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა
და თხრამლისაგან, და შევჰმოსეთ მწურითა მით. და მაშინ-და ეპისკოპოსთა
მათ ორთა-ვე, იოანე და აფოც, ვითარცა ჯართა მცნეთა დაუდღევილთა
ზესკნელისამისფასისათა,ყოველითკრებულითურთფსალმუნითა

სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა. დადავკრძალენითწმიდანიიგიდადიდებულნიდაპატივ-ცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა, და მას ღამესა ანგელოზთასახედამწიგიგანვათიეთდადავითისქნართამით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით,რომელიყოვლითაყოველთამიმართშემძლებელარს*** და განამწმენის მამანი-ცა და დედანი-ცა და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევამ მიჰმადლის ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა.

თავი: XX

.დაარსდასაბამიტანჯვათამათწმიდისაშუშანიკისთაფთუესა აპნისისასა, მერვესა თთჳსასა და დღესა ოთხშაბათსა, და მეორედ გუემად მისიშემდგომდაღვსებისაზატიკსა,დღესაორშაბათსა,და კუალად ტანჯვად ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა, და აღსრულებად მისი თთუესა ოკდონბერსა ათჩვდმეტსა საკსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანწსთა. და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საკსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა,მამისადაძისადასულისაწმიდისა,რომლისაშუენის დიდებამუკუნითიუკუნისამდე,ამწნ.